



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N22

ქ. მარნეული

25.12.2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭორძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ჯომგუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი.

არ ესწრებოდა: - ნიკოლოზ გოგოჭური, რაფიკ მუსაევი, ზურაბ სხირტლაძე, ლევონ აკოპიანი, გივი ქველაძე, მახირ იუსუბოვი, რაფიკ ჯაფაროვი, სულეიმან ხალილოვი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია, მოქალაქე აგილ ფაშაევი.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები., გაზეთ „ოზანის“ რედაქტორი ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის შესახებ
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

4. ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრის“ 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
5. ა.ა.ი.პ. კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუსიკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრის“ 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ
6. ა.ა.ი.პ. „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
7. ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეულის“ 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
8. ა.ა.ი.პ. „მარნეულის სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
9. შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
10. შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
11. შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
12. შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის ბიუჯეტისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.
13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ.
14. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ
15. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების განაწილების შესახებ
16. ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანების დაფარვის შესახებ
17. სოფელ სადახლოში მდებარე მეჩეთის მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანების დაფარვის შესახებ
18. ქესალოში მდებარე ეკლესიის მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანების შესახებ
19. კავშირი „გზანათელი“-ს წერილის განხილვის შესახებ
20. საქართველოს აზერბაიჯანელთა კავშირ „ოზანი“-ს ხელმძღვანელის ქამილ მუსაევის 2015 წლის 23 დეკემბრის N2-706 წერილის განხილვის შესახებ
21. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 1 დეკემბრის N3551-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

22. სოციალური საკითხები

23. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო N22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2015 წლის 21 დეკემბრის N14 წერილით შემოსული დოკუმენტაცია (რეგ. N1735/05. 21.12.2015წ) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნიზამი ვალიევის ნაცვლად აგილ შარიფოვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად (მირებულია განკარგულება N186. 25.12.2015წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N45 დადგინებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინება N41. 25.12.2015 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგინება N44. 25.12.2015 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 22 დეკემბრის N03/5776 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N196. 25.12.2015 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 22 დეკემბრის N03/5771 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. მარნეულის კულტურის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N195. 25.12.2015 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 22 დეკემბრის N03/5775 და 24 დეკემბრის N03/5876 წერილებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2016 წლის პროგრამები, ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N194. 25.12.2015 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 დეკემბრის N03/5836 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N197.25.12.2015 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 დეკემბრის N03/5835 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა ა.ა.ი.პ. „მარნეულის სპორტული სკოლა“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N198. 25.12.2015 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 დეკემბრის N03/5852 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N202. 25.12.2015 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 დეკემბრის N03/5834 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N201. 25.12.2015 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 23 დეკემბრის N03/5833 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N199. 25.12.2015 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 დეკემბრის N03/5877 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2016 წლის ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N200. 25.12.2015 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ

საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 24 დეკემბრის N03/5891 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N42. 25.12.2015 წ).

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N43. 25.12.2015 წ).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N190. 25.12.2015 წ).

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქალაქ მარნეულის ტერიტორიული ერთეულიდან რაგიმ ასკეროვის განცხადების (რეგ. N1760/05. 22.12.2015წ) გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქალაქ მარნეულში მდებარე მეჩეთების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/11770437-ს მიხედვით 122 ლარი და 40 თეთრი და ქვითარი N 50/11771404-ს მიხედვით - 300 ლარის გადარიცხვა მეჩეთების მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N187. 25.12.2015 წ).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სადახლოს ტერიტორიული ერთეულიდან ელდარ მამედოვის განცხადების (რეგ. N1712/05. 15.12.2015წ) გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს სადახლოში მდებარე მეჩეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/11799439-ს მიხედვით 33 ლარი და 76 თეთრის გადარიცხვა მეჩეთის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N188. 25.12.2015 წ.).

18. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთვრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის კაპანაძის ტერიტორიული ერთეულიდან ელხან მუფტიევის განცხადების (რეგ. N1802/05. 25.12.2015წ) გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს ქესალოში მდებარე ეკლესიის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დასაფარად ქვითარი N50/12136199-ს მიხედვით 300 ლარის გადარიცხვა ეკლესიის მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N189. 25.12.2015 წ.).

19. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო კავშირი „გზანათელი“-ს წერილი, რომელიც მცირე სოციალური საწარმოს (ავეჯის საამქრო) გასახსნელად ითხოვს დაფინანსებას. გამოითქვა აზრი, რომ უკეთესია მოხდეს საკითხის შეთანხმება იურიდიულ სამსახურთან და შემდეგ მისი ხელახალი განხილვა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

20. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოცე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საქართველოს აზერბაიჯანელთა კავშირ „ოზანი“-ს ხელმძღვანელის ქამილ მუსაევის 2015 წლის 23 დეკემბრის N2-706 წერილი, რომელიც გაზეთის დასაფინანსებლად ითხოვს 43 ათასი ლარით დაფინანსებას. გამოითქვა აზრი, რომ საკითხის განხილვა სცდება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას და ექვემდებარება ტენდერს, რის გამოც სასურველია წერილი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

21. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამეერთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 დეკემბრის N03/5258 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2015 წლის 01 დეკემბრის N3551-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სთხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ფახრადინ პირიევის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურის ტექ.ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხულია მისამართით: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქუჩა, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქუჩა N25ა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N193. 25.12.2015 წ.).

22. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამეორე საკითხთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდება მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევთ სხვადასხვა დახმარებები **ერთჯერადი დახმარებისათვის** - ელმირა აზიზბეკოვას - 100 ლარი, ელენა ვორობიოვას - 100 ლარი, მახირა ხასმამედოვას - 100 ლარი, რაფიგა სარიევას - 100 ლარი, ტახირა ჯაფარლის - 100 ლარი, მადინა ვალიევას - 100 ლარი, ნათელა ვალიევას - 100 ლარი, ლიდა ბურნაძეს - 100 ლარი, სიასატ გასანოვს - 100 ლარი, ალექსანდრე პაპახჩიანს - 100 ლარი, სამაია აბდულაევას - 100 ლარი, ისპანდიარ მახმუდოვს - 100 ლარი, ვალიდა გახრამანოვას - 100 ლარი, იროდი ბოჭოიძეს - 100 ლარი, ნორა პროკოპოვას - 100 ლარი, ტაპდიგ მამედოვს - 100 ლარი, მერი ბოჭოიძეს - 100 ლარი, ვაქილ ნამაზოვს - 100 ლარი, ზურაბ შოშიტაშვილს - 100 ლარი, ქრისტინე გიორგაძეს - 100 ლარი, ილიას ჰუსეინოვს - 100 ლარი, ნატო გიორგაძეს - 100 ლარი, დუნია მამედოვას - 100 ლარი, ბალახანუმ სულეიმანოვს - 100 ლარი, ნიზა ჰუსეინოვას - 100 ლარი, მუსტაფა მუსტაფაევს - 100 ლარი, თამარ ბარათაშვილს - 100 ლარი, ეთერი ჯოხაძეს - 100 ლარი, ლილი გიგლემიანს - 100 ლარი, ვალი ბაირამოვს - 100 ლარი, ამირასლან ალიევს - 100 ლარი, ჯამალ გასანოვს - 100 ლარი, შამსი ისმაილოვს - 100 ლარი, ელდანიზ ვალიევს - 100 ლარი, ისქანდარ აშიროვს - 100 ლარი, არიფ ბაირამოვს - 100 ლარი, აფსანა ვალიევას - 100 ლარი, ჯაფარ ისმაილოვს - 100 ლარი, ვალიდა იბრაგიმოვას - 100 ლარი, ტახმინა შარიფოვას - 100 ლარი, ელმირა ახმედოვას - 100 ლარი, აიბანიზ კახრამანოვას - 100 ლარი, ქამილ მუსაევს - 100 ლარი, ელიმხან მამედოვს - 100 ლარი, თახირ ტალიბოვს - 100 ლარი, ჩიმნაზ ჯაფარლის - 100 ლარი, ზარგალამ ხალილოვას - 100 ლარი, ბატუ ნავერიანს - 100 ლარი, აიდა თემურაზიანს - 100 ლარი, გასან გასანოვს - 100 ლარი, არსენ ბურნაძეს - 100 ლარი, გოიჩაკ აზიზოვას - 100 ლარი, ლილკარ ფოლადოვას - 100 ლარი, გალამზარ ბადალოვას - 100 ლარი, ელიჩკა სტეფანიშვილის - 100 ლარი, საბირ ბადალოვს - 100 ლარი, პარი ბაირამოვას - 100 ლარი, ელენე კილინკაროვას - 100 ლარი, ლევან მნაცაკანიანს - 100 ლარი, ნარკიზ ალიევას - 100 ლარი, როზალია რიკაძეს - 100 ლარი, ნათელა დარბაიძეს - 100 ლარი, ოვჩუ კარაევს - 100 ლარი, ლამარა გიორგაძეს - 100 ლარი, თამილა ჯულფაევას - 100 ლარი, აჯარ ბაირამოვას - 100 ლარი, გუდრათ მიკაილოვას - 100 ლარი, ფაიდა ჯაფაროვას - 100 ლარი, ვერა დევდერიანს - 100 ლარი, რანა ასკეროვას - 100 ლარი, გიულნარა ალექსანიანს - 100 ლარი, ნამაზ მამედოვს - 100 ლარი, ზენფირა არსენიანს - 100 ლარი, მიტხუნ მამედოვს - 100 ლარი. **მედიკამენტებისათვის** - შარგია გარაბაგლის - 120 ლარი, ამალია მისკარიანს - 200 ლარი, ელიზბარ მეხტიევის შვილიშვილს რუგაია გუსეინოვას - 360 ლარი, პეტროს მხიტარიანს - 300 ლარი, გულხარა ალიევას - 320 ლარი, გუსეინ გასანოვის მეუღლეს სოლმაზ ჰასანოვას - 450 ლარი, ხალადინ ხუდაევის მამას რაჟდინ ხუდაევს - 200 ლარი, ნურა იაგუბოვას - 380 ლარი, ბახტიარ ნასიბოვს - 200 ლარი, რამალა გუსეინოვას - 50 ლარი, სევინჯ რუსტამოვას დედას ლაჩინ რუსთამოვას - 300 ლარი, დათო ცხადიაშვილს - 115 ლარი, იაშა მამედოვს - 355 ლარი, ოვაკიმ ხაჩატურიანს - 450 ლარი, გიორგი წიკლაურს - 200 ლარი, საქინა ნაიბოვას - 460 ლარი, სონიკ კუშჩიანს - 480 ლარი. **ოპერაციისათვის** - აისელ ოუსუბოვას - 275 ლარი, ოფელია რუსტამოვას - 300 ლარი, ემინ მამედოვის შვილიშვილს სადიგ არხმამედოვს - 190 ლარი, გამიდ ასკეროვის შვილიშვილს დილეკ ასკეროვას - 440 ლარი, ელხან კარაევის შვილს ემილია კარაევას - 240 ლარი, იდრის ქარაჯაევის შვილს აფგან კარაჯაევს - 180 ლარი, **მკურნალობისათვის** - სევინჯ ისაევას შვილს სემან ისაევას -160 ლარი, ვიტალი მაჭარაშვილს -350 ლარი და ხუმაია დამირჩალოვას -600 ლარი. ასევე როგორც გამონაკლისი, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ თამარისში მცხოვრები ალექსანდრე აბრამიშვილისათვის მედიკამენტებისათვის 1800

ლარის, სოფელ წერეთელში მცხოვრებ ღია ბრეგვადისათვის შვილის ჯულიეტა ბრეგვადის იტალიაში, ქალაქ ვერონაში გასამგზავრებლად (რომელსაც ვერონაში ჩაუტარდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია და ამ ეტაპზე ესაჭიროება ჯანმრთელობის შემოწმება) – 1000 ლარის, ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N42-ში მცხოვრები გიულნარა კიარიშვილს მედიკამენტებისათვის 400 ლარის და სოფელ სადახლოში მცხოვრები ორხან შამშიევს ოპერაციისათვის 500 ლარის გადარიცხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

და საგარანტიო წერილებით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით შესასრულებლად, ჯემალ ბედიევისათვის 600 ლარის, აკიფ ეფენდიევისათვის 780 ლარის, ფიზული გულიევის დედის ტატიანა გულიევისათვის -180 ლარის, ნაზაკატ მუსაევასათვის - 400 ლარის, ჯახან ზიადალიევისათვის - 276 ლარის, ლიამან ალევას შვილის რამალ აბასოვასათვის 175 ლარის, ელვინ ჯალილოვის მამის ისმაილ ჯალილოვისათვის - 415 ლარის, ადილა კასიმოვასათვის - 432 ლარის, სუსანა აჯამოვასათვის - 620 ლარის და ასევე იგივე მოქალაქისათვის 932 ლარის, ზაური ჩხიტუნძის შვილიშვილის ნიკოლოზ ჩხიტუნძისათვის - 400 ლარის, ლეილა ნავერიანისათვის - 750 ლარის, ემზარ ტალიბოვის მეუღლის სახიბა ალიევისათვის - 400 ლარის, ვერა გუკინასათვის - 400 ლარის, მამუკა თოდუასათვის - 1200 ლარის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები და განკარგულებები N191 და N192. 25.12. .2015 წ)

23. დღის წესრიგით გათვალისწინებულ ოცდამესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა გიორგი გელაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 24 დეკემბრის N03/5889 წერილით შემოსული შიდა აუდიტის სამსახურის დებულების პროექტი და ითხოვა მისი დამტკიცება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N45. 25.12.2015 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის ოცდამეორე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ნაზი აბდულაევი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე